სადოქტორო პროგრამა ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია''

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია Public Health and Epidemiology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი (PhD in Public Health)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS, მათ შორის დოქტორანტურის სასწავლო სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, არჩევით საგნებს-20 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს 120 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი პაატა იმნაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა: დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი, ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ვეტერინარიის მაგისტრის ხარისხი; უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე და გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამა ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია'' ეყრდობა თსუ მისიას და მიზნებს და თავის მხრივ მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ: ახალი სამეცნიერო ცოდნის

	გენერირების გზით საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში კვლევების ჩატარებას და სწავლების უზრუნველყოფას, აქტუალური საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით; ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევებისა და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას საზოგადოებრივ ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით, რაც საფუძვლად დაედება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს შეეძლება: • კრიტიკულად გაანალიზოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის გამოწვევები და გადაჭრის გზები. • შექმნას საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, არსებული ცოდნის გაფართოებისა და ასევე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. • გამოავლინოს სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას.
უნარები	კურსდამთავრებულს შეეძლება: • დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს საზოგადოებრივი ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი

	კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების და მიდგომები; • შეაფასოს საზოგადოებრივ ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეები და მიდგომები და დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის; • გარკვევით წარმოაჩინოს როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნა და მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამართულ დისკუსიებში.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებულს შეეძლება: განახორციელოს დამოუკიდებლად ინოვაციურობის დემონსტირირებით საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტი აკადემიური კეთილსინდისიერების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეთიკის პრინციპების დაცვით.
სწავლების მეთოდები	ლექცია, დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია, სემინარები, დისკუსია, დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შეხვედრები სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ცალკეული სილაბუსებით გათვალისწინებული სხვა მეთოდები. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა მეთოდს, კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი ამოცანიდან გამომდინარე.
სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

	(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ დასაქმდნენ სახელმწიფო ან კერძო სექტორში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის საკითხებზე ფოკუსირებულ სამთავრობო და არასამთავრობო ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებში, კვლევით ორგანიზაციებში, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
სწავლის საფასური ქართველი სტუდენტებისათვის	2250 ლარი
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართულია თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის 3 პროფესორი და 5 ასოცირებული პროფესორი, ასევე 2 მოწვეული პერსონალი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან (საქართველო) და 1

	მოწვეული პროფესორი ლუნდის უნივერსიტეტიდან (შვედეთი). სამეცნიერო კვლევების ბაზას წარმოადგენს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის წამყვანი დაწესებულებაა, რომელიც ფლობს უნიკალურ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: მედიცინის

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია

სწავლების საფეხური: სადოქტორო

კრედიტების რაოდენობა: 180 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა იმნაძე
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

პროგრამის სტრუქტურა

№	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი						ლექტორი / ლექტორები
				I წელი		II წელი		III წელი		
				სემესტრი						
				I	II	III	IV	V	VI	
		სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები (სულ 40 ECTS კრედიტი)								
1.		მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი	არ გააჩნია	15 კრედიტი						პროფ. პ. იმნაძე
2.		პროფესორის ასისტენტობა	არ გააჩნია	5 კრედიტი						პროფ. პ. იმნაძე
3.		აკადემიური წერა ბიომედიცინაში	არ გააჩნია	5 კრედიტი						პროფ. ზ. კოკაია
4.		პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	არ გააჩნია	5 კრედიტი						პროფ.ზ. კოკაია
5.		სწავლების თანამედროვე მეთოდები	არ გააჩნია	5 კრედიტი						ასოც.პროფ. ე. ღვინერია
6.		კვლევის მეთოდოლოგია	არ გააჩნია	5 კრედიტი						პროფ. დ. კორძაია
7.		ეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდები და პრინციპები	არ გააჩნია	5 კრედიტი						მ. ბუწაშვილი
8.		მულტივარიაციული სტატისტიკური ანალიზი	არ გააჩნია	5 კრედიტი						გ.კამკამიძე
9.		კომპიუტერული პროგრამირება მონაცემთა მართვისა და ანალიზისთვის	არ გააჩნია	5 კრედიტი						დ. ბალიაშვილი
			სულ	55 კრედიტი						
		სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (სულ 20 ECTS კრედიტი)								
10.		სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის	არ გააჩნია	5 კრედიტი						პროფ. პ. იმნაძე, მედ, დოქტ. გ. ლომიძე
11.		კლინიკური კვლევის დიზაინი	არ გააჩნია	10 კრედიტი						მედ. დოქტ. გ. ლომიძე
12.		მეცნიერების მენეჯმენტი	არ გააჩნია	5 კრედიტი						პროფ. გ. ღვედაშვილი
13.		გლობალური ჯანდაცვა	არ გააჩნია	5 კრედიტი						თ.ვერულავა
14.		სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ჯანმრთელობის დაცვაში	არ გააჩნია	5 კრედიტი						პროფ. ს.გელაშვილი, პროფ.ნ. ჩიხლაძე
		კვლევითი კომპონენტი (სულ 120 ECTS)								

1.		I კვლევითი პროექტი								
2.		II კვლევითი პროექტი								
3.		სადისერტაციო ნაშრომი								
			სადოქტორო პროგრამა სულ	**180 ECTS კრედიტი**						

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____
ფაკულტეტის ბეჭედი